პეტრე გელხვიიძე

გაბნეული ფურცლებიდან

(აზრები– 2019)

"ბუნებაში არაფერი იკარგება უვარგისი კაცის გარდა"

- სიყვარული – აზრი არსებობისა!
- სიამოვნების ექსტაზში საღი გონება იკარგება.
- ამოვხსენი საქართველოს გადარჩენის საიდუმლო; განათლება და უცხოს მიმართ შემწყნარებლობა და მზრუნველობა.
- პოლიტიკა– ხელმოცარულთა თავშესაფარი.
- ძალა დამანგრეველია, შენების დუღაბი სიყვარულია.
- ძილში შესაძლოა ცხოვრებაც გაგვეპაროს.
- სიცოცხლის ხანგრძლივობა ნაკეთები საქმეებით იზომება.
- არის თუ არა ტოლობა მათ შორის, ვინც ყველაფერი იცის და ვინც არაფერი იცის? – მათემატიკურად არა, ფილოსოფიურად კი.
- ვინც წარსულს ივიწყებს მომავალს ვერ ხედავს.
- როცა ღმერთთან შიშის გამო მიდიხარ, ეგ ვერაფერი რწმენაა.
- დრო ბრუნვაა, პროცესის საზომია.
- ღირებულების საზომი დროა.
- დრო – ღმერთია, თავისი "სასწორით" დადის.
- მე ზეციური ვყოფილვარ თურმე. *(იუსტიციის სახლში ჩემი დაბადების დამადასტურებელი დოკუმრნტი არ აღმოჩნდა, რამაც გამახსენა, ბავშვობაში მშობლების ნათქვამი, "ჩემი ზეციურობის შესახებ")*
- სიყვარული მრავალწახნაგოვანი უნარების და შესაძლებლობების ერთიანობაა.
- ნული დამოუკიდებლად არაფერს წარმოადგენს, მაგრამ სხვა ციფრების შემდეგ მნიშვნელოვნად ცვლის, როგორც თავის ისე იმ სხვის წონას.
- კაცობა უნარია, სიყვარული უნარია, ამ უნარების შენარჩუნება კი – მარადისობაში გადასვლა.
- მარადისობა დროით აღარ იზომება.
- მარადისობა სულიერების ეტალონია.

- კაცმა არ იცის დუმილში რა სიმდიდრეა დამალული.
- ზოგჯერ ადამიანი იდუმალ სათქმელს ნერწყვის გადაყლაპვით ამბობს.
- ფული ხორცის ტრანსპორტია, სულის ტრანსპორტი კი ღვთიური გონება!
- სიმდიდრე ფულიერება კი არა, სულიერებაა.
- სიძლიერე, ძალა კი არა გონიერებაა.
- ვისაც მიაჩნია, რომ მისთვის ყველაფერი უნდა "მოდიოდეს" – ასეთი ადამიანი პოლიტიკაში, ვერ უნდა მოდიოდეს.
- სახელმწიფო, სახელმწიფეობრივად მოაზროვნე პოლტიკოსების გარეშე ვერ აშენდება.
- რა სამწუხაროა, რომ მართველობითი სისტემა ხელთანაა დაკავშირებული და არა თავთან ("ხელ-მძღვანელი", "ხელ-მწიფე", "ხელის-უფალი").
- რა ანადგურებს ადამიანს? – სიძულვილი;

  რა აძლიერებს ადამიანს? – სიყვარული.

- სიცოცხლის ხანგრძლივობის ანგარიშისას დღე, როდესაც არავის მოფერებიხარ, შენად ნუ მიითვლი.
- სიყვარული გალაქტიკაზე უფრო მოკაშკაშე სამყაროა და ბედნიერი ხარ თუ ამ სამყაროს თუნდაც ერთი შემადგენელი ელემენტი ხარ!
- დაბადება და გარდაცვალება ჩვენი საკუთრება არ არის, ჩვენ მხოლოდ ამ შუალედში შეგვიძლია ჩვენი თავი ვაჩვენოთ.
- რწმენა – საქციელის საზომია!
- – დაცემული ააყენე!
  - – ფეხზე მდგომს გვერდით დაუდექი!
  - – სუსტი გააძლიერე!
  - – ძლიერს აღმაფრენისათვის ფრთები შეასხი!
- რაც უფრო ცოტა იცი მით უკეთესია, – ნაკლები პრობლემები გაქვს.
- მიზანი, რომელსაც მწვერვალზე არ აჰყავხარ, მიზნად ნუ ჩათვლი.
- დავიწყების შიში, მონატრების სურვილს აძლიერებს.
- იმ დროს, როდესაც მუჭში კვერცხის გატეხვა ვაჟკაცისათვის პრობლემას წარმოადგენს, უმწეო წიწილასაგან შიგნიდან მისი გატეხვა უპრობლემოდ ხდება.
- უსასრულობა არ არსებობს, ყველა პროცესს თავისი საწყისი და ბოლო წერტილი აქვს.

- ტელეპატიურად მოაზროვნე, ჩვეულებრივი ადამიანისათვის “კრამიტდაჩოჩებულად” გამოიყურება.
- აწმყო უძრავია, წარსული და მომავალი, დროში სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი პროცესებია.
- თუ შვილს, ბავშვობაში ფიზიკურ დატვირთვას უმსუბუქებ, იცოდე მომავალში სულიერ ტვირთს უმძიმებ!
- მწუხარებაც და სიხარულიც – ცრემლით იზომება.
- ძლიერი ის კი არ არის ვინც დროს აყვა, არამედ ის ვინც დრო თვითონვე შექმნა!
- საზოგადოების აზრი: პონტი პილატმა ხელები დაიბანა.